ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „12“ თებერვალი 2015 წ.

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **მერაბ თოფჩიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „გიკო“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **პაატა ფოცხვერაშვილის მინდობილი პირის მაია რუსიშვილის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის (შპს „გიკო“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (**SPA140027503**) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

1.6. "ტექნიკური დავალება"– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაეროვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ***<u>სოფ. ყულარში (ცხენსაშენთან) მდ. ხრამის კალაპოტის კორექტირება და ნაპირგამაგრების (ქვანაყარი ბერმით) სამუშაოების შესყიდვა</u>*** (CPV - 45243300 - ნაპირის გასამაგრებელი კიდლების მშენებლობა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა დეტალურად მოცემულია ტექნიკურ დავალებაში და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. გასაწევი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **145 000 (ასორმოცდახუთი ათასი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. სამუშაოები გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სოფ. ყულარი.

4. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 დღის განმავლობაში. იგი პასუხისმგებელია გაწეული სამუშაოების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. **სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. სამუშაოები გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან "მიღება-ჩაბარების" აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი/პირთა ჯგუფი - შესაბამისი მიმღები კომისია.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს – *შესაბამისი მიმღები კომისია, ხოლო ტექ/ზედამხედველობას განახორციელებენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტები – ზურაბ დევდარიანი და იოსებ შუბითიძე.*

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. **გასაწევი სამუშაოების ხარისხი და გარანტია**

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული სამუშაოები არ გამოაელენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

7.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადაა – 3 (სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

8. **ანგარიშსწორება**

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. საბოლოო ანარიშსწორება მოხდება სათანადო ექსპერტიზის დასკვნის გაცემისა და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს ეტაპობრივად შესაბამისი შუალედური სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტის – ფორმა №2 წარმოდგენის საფუძველზე.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი სამუშაოების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

15.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30.09.2015 წლამდე.**

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მარნეულისმუნიციპალიტეტისთვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73

ს.კ. 234232149

მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი;

ბანკის კოდი 220101408;

ა/ა GE22LB0120166049432000;

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „გიკო"

მისამართი: ქ. თბილისი, ე. გაბაშვილის 7ა

ს.კ. 424 065 914;

მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა.ა.GE02BG0000000345326400.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეებელი:

/მ. თოფჩიშვილი/

(ბ.ა.)

შპს „გიკოს" მინდობილი პირი:

/მ. რუსიშვილი/

(ბ.ა.)

შპს „გიკო“

424065914

იურიდ. მის.: ახალციხე,სოფ.კლდე

ტელეფონი: 551 998 555

ელ-ფოსტა: ltd.giko@gmail.com

LTD"GIKO"

424065914

Address: Akhaltsikhe,KLDE

T: 551 998 555

E-MAIL.ltd.giko@gmail.com

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მინდობილობა ეძლევა შპს ,,გიკო“-ს ტექნიკური განყოფილების უფროსს მაია რუსიშვილს (პ/ნ 20001015753) მასზედ, რომ იყოს შ.პ.ს ,,გიკო“-ს ს/ნ 424065914 წარმომადგენელი ქ. მარნეულის გამგეობაში , მოაწეროს ხელი სატენდერო ხელშეკრულებას და სხვა ყველა თანდართულ დოკუმენტებს დირექტორი პაატა ფოცხვერაშვილის პ/ნ 01021006262 ნაცვლად.

შ.პ.ს ,,გიკო“-ს დირექტორი: პაატა ფოცხვერაშვილი